ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6983727

ნომერი: AR11027901

თარიღი : 10.04.2024

გაცემის თარიღი : 16.04.2024

გაცნობის თარიღი : 16.04.2024

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ვარლამ ჩერქეზიშვილის ქუჩა, N 2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კირკიტაძე პ/ნ 01013012659
- თბილისი პეკინის გამზ. N 27

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, ცეცხლმედეგი გამმიჯნავის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის, მოწყობა ან დემონტაჟი

  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

  რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019

წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი დოკუმენტაცია კიბის ქვეშ (ლითონის მსუბუქი კონსტრუქციით) სათავსის ამოშენების თაობაზე. მოთხოვნის შინაარსის ტექსტის გათვალისწინებით დგინდება , რომ სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაგეგმილია 06/1 - 07/1- შენობებზე ,კ ერძოდ იგეგმება არსებული შენობის კედლების ახლით შეცვლა და ასევე 2 (ორი) რკისნის კარის მოწყობა (სავარაუდოდ , ხორციელდება არსებული შენობის ფუნქციის ცვლილებაც)გაბარიტული ზომების ცვლილების გარეშე. აღნიშნულის გათვალისწინებით ვინაიდან სარეკონსტრუქციო შენობის პარამეტრებით არ წარმოადგენს I კლასის ობიექტს და რეკონსტრუქციით გათვალისწინებულია მზიდი კონსტრუქციული ელემენტების- არსებული კედლების დემონტაჟი და მის ნაცვლად ახლის აშენება , შესაბამისად მისი რეკონსტრუქცია ვერ იქნება განხილული პირველი კლასის ცვლილებად და წარმოადგენს ცვლილებას რაც საჭიროებს მშენებლობის ნებართვის გაცემას.

ზემოაღბიშნულის გათვალისწინებით სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას ამ ეტაპზე განიხილოს თქვენი საკითხი და დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.